პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 35 (4545)

1972 წ. 19 თებერვალი, შაბათი.

ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ხვალ ბაკურიანში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრიზზე

SAPPORO'72

## უკელა ოლიმპიელი შინ დაბრუნდა

17 თებერვალს თეთრი ოლიმპიადის დედაქალაქიდან მოსკოვში დაბრუნდა საბჭოთა ოლიმპიელთა ბოლო ჯგუფი — ჰოკეისტები. სსრ კავშირის დედაქალაქი საპოროს გმირებს ყვავილებითა და მუსიკით შეხვდა. შერემეტიევოს აეროპორტში უამრავი სპორტის მოყვარული დახვდა სახელგანთქმულ სპორტსმენებს. საზეიმო მიტინგი გახსნა მოსკოვის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ ა. ერიომინმა. დედაქალაქის ახალგაზრდობის სახელით ჰოკეისტებს მიესალმა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წევრი, ლიხაჩოვის სახელობის ქარხნის მუშა ა. არკატოვი.

ოლიმპიური ტურნირის ძნელ მატჩებში ილაპარაკა საბჭოთა გუნდის კაპიტანმა ვ. კუზკინმა.

საკდესის კორესპონდენტმა მიმართა გუნდის ვეტერანს ა. რაგულინს.

— სასიამოვნოა სამშობლოში გამარჯვებით დაბრუნება, — თქვა რაგულინმა. — ჩვენ მეოთხედ მოვიპოვეთ ოლიმპიური ოქროს მედალი. უდიდეს მადლობას ვუძღვნით სპორტის მოყვარულებს, რომლებიც წერილებითა და დეპეშებით გვამხნევებდნენ. ეს დიდი მხარდაჭერა იყო.

— ნაკრებში პირველად მოვხვდი და მაშინვე ოლიმპიურ ტურნირში მოშინდა გამოსვლა, — ამბობს გუნდის დებიუტანტი ი. ბლინოვი. — ბოლო მატჩი რომ მოვიგეთ, არც კი მჯეროდა, რომ ოლიმპიური ჩემპიონი ვიყავი.

(საკდესის კორ.).

მოსკოვი.



შარშანდელი წლის 17 იანვარს ბაკურიანში გაიმართა „მფრინავ მოთხილამურეთა" I საერთაშორისო ტურნირი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრიზზე. შეჯიბრებაში გდრ-ის, ჩეხოსლოვაკიის, ავსტრიის, პოლონეთის, ფინეთისა და სსრ კავშირის 44 საუკეთესო სპორტსმენი მონაწილეობდა. მაშინ სარბიელზე გამოვიდნენ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი გ. ნაპალკოვი, ოლიმპიური ჩემპიონები ვ. ბელოუსოვი (ორივე — სსრ კავშირი), ი. რაშკა (ჩეხოსლოვაკია), დიდ საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებულნი ჰ. შმიდტი, თ. ვებერი, დ. აშენბახი (ყველა — გდრ), რ. ბაჰლერი, ჰ. ვინკლერი (ორივე — ავსტრია) და სხვ. მათმა ოსტატობამ ათასობით მაყურებელი მოხიბლა.

შარშან მთავარ პრიზს საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრი, პერმის მე-8 პედსასწავლებლის მეორეკურსელი, 18 წლის ს. ზონტოვი დაეუფლა. იგი როგორც საცდელ, ისე ჩასათვლელ ცდებზე 100 მეტრზე შორს გადახტა, მაგრამ ყველა გააოცა ბოლო ცდაზე, როცა 115,5 მ იფრინა და ტრამპლინის რეკორდი დაამყარა. ზონტოვმა გამარჯვება სწორედ ამ ნახტომის წყალობით დაისაკუთრა.

ხვალ ბაკურიანის 90-მეტრიან ტრამპლინზე „მფრინავ მოთხილამურეთა" II საერთაშორისო შეჯიბრება გაიმართება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრიზზე. ძვირფასი ჯილდოსთვის წლეულს გაცილებით მეტი სპორტსმენი იბრძოლებს — ბაკურიანში სპორტის მოყვარულები ნახავენ გდრ-ის, გფრ-ის, ავსტრიის, ფინეთის, უნგრეთისა და სხვა ქვეყნების უძლიერეს ტრამპლინიდან მხტომელთა ოსტატობას. მოასპარეზეთა შორის საპოროს ოლიმპიადის მონაწილენიც იქნებიან.

განსაკუთრებით ბევრი სპორტსმენი გამოვა სსრ კავშირიდან. ერთი კვირის შემდეგ აქ ხომ საბჭოთა ქვეყნის საუწყებო პირადი ჩემპიონატი ჩატარდება და მედლების მაძიებლებისთვის საერთაშორისო ტურნირი საუკეთესო რეპეტიციაც იქნება.

საერთაშორისო ასპარეზობა მეტად მიმზიდველ, დაძაბულ და უშეღავათო ბრძოლას გვპირდება. სპორტსმენები შეეცდებიან მთელი თავიანთი უნარი გამოავლინონ, ლამაზად და შორს გადახტნენ, ვინაიდან მასპინძლებმა — საქართველოს ორგანიზაციებმა სპეციალური პრიზებიც დააწესეს.

ვინ დაეუფლება მთავარ და სამახსოვრო ჯილდოებს, ამას კვირას შევიტყობთ.

## XI „თეთრი თამაშების" შემდეგ

XI თეთრი ოლიმპიადის ორგანიზატორებმა გამოიანგარიშეს, რომ სარეკორდო იყო როგორც გაყიდული ბილეთების რაოდენობა, ისე საერთოდ ამ გზით მიღებული თანხა. სულ გასაყიდად ჰქონდათ 898705 ბილეთი, რომელთა საერთო ღირებულებაც 810 მილიონ იენს შეადგენდა. გაიყიდა 642185 ბილეთი — 660 მილიონი იენის ღირებულებისა. ყველაზე პოპულარული გამოდგა ოლიმპიადის გახსნისა და დახურვის ცერემონიები, ტრამპლინიდან მხტომელთა შეჯიბრება და ფიგურული ციგურაობა. მათი ბილეთები ჯერ კიდევ თამაშების გახსნამდე გაიყიდა.

86 ათასი ბილეთი უცხოელმა სტუმრებმა იყიდეს.

• • •

ოლიმპიური სოფლის სასადილოები დაახლოებით 1600 სპორტსმენსა და ოფიციალურ პირს ემსახურებოდა. სტუმრებს მიართვეს 97700 კერძი. ოლიმპიელები ძალიან აქებდნენ მასპინძლების ნახელავს. თერთმეტი დღის მანძილზე მათ შეჭამეს 28 ტონა ძროხის ხორცი, 10000 წიწილა, 100 ათასი ცალი კვერცხი, 120 ტონა ბოსტნეული, დალიეს 810 ათასი ბოთლი რძე.

ოლიმპიური სოფლის კლინიკას თამაშების მანძილზე 760 კაცი ესტუმრა, მათგან დაახლოებით ნახევარი — სხვადასხვა სახის ტრავმებით.

ოლიმპიური სოფლის შტაბ-ბინაში მოხვდა დაახლოებით 50 დაკარგული სხვადასხვა ნივთი, რომლებიც მაყურებლებსა და კორესპონდენტებს ეკუთვნოდათ. საათებთან და ფოტოაპარატებთან ერთად ამ ნივთებს შორის იყო პირადობის მოწმობებიც. ყველაფერი პატრონებს დაუბრუნეს.

• • •

ოლიმპიური სოფელი დაცარიელდა. იგი დატოვა სპორტსმენთა ბოლო ჯგუფმაც — გდრ-ის, პოლონეთის, იტალიისა და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლებმა.

ოფიციალურად სოფელი 12 იანვარს გაიხსნა. ოლიმპიადის დღეებში მისი მოსახლეობა 1616 კაცს შეადგენდა. სოფლის შესასვლელში 87 დღის მანძილზე ფრიალებდა მონაწილე ქვეყნების, კუნძულ ჰოკაიდოსა და ოლიმპიური კომიტეტის დროშები. და აი, 17 თებერვალს ოლიმპიური მარშის ხმაზე ეს ალმები დაუშვა იმ ხალხმა, რომელმაც ყველაფერი გააკეთა საიმისოდ, რომ სპორტსმენებს აქ სიამოვნებით დაესვენათ და ეცხოვრათ.



◆ ტალინი, 18 თებერვალი. ლენინური კომკავშირის სახელობის სტადიონზე დღეს სტარტი აიღო ზამთრის XIII ავტორალიმ, რომელსაც „ბალტიისპირეთი" ჰქვია. რესპუბლიკის გზებს (ტრასის საერთო სიგრძე 2400 კილომეტრია) დაახლოებით 100 მანქანა დაადგა. საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის წლისთავისადმი მიძღვნილ ამ საკავშირო შეჯიბრებაში ტურნირის ორგანიზატორის —დოსააფის გუნდის გარდა მონაწილეობენ „სპარტაკის", „ტრუდის", „ალგირისის", „ავანგარდისა" და სხვა საზოგადოებათა მრბოლელები. დამის პირველ საათზე პირველმა აიღო სტარტი ლიტვის დოსააფის კლუბის ავტომობილისტთა ძლიერმა გუნდმა, რომლის შემადგენლობაში არიან სსრ კავშირის ნაკრების წევრები, ავტორალი ლონდონ — მეხიკოსა და „ევროპის ტურის" მონაწილენი კ. გიდრაუსკასი და ლ. პოტაპჩიკი, აგრეთვე, ა. რიმონისი. ისინი „მოსკვიჩ-412"-ით ასპარეზობენ.



კურსკის „დინამოს" სტადიონის ყინულის ბილიკებზე ამას წინათ საბჭოთა ქვეყნის უძლიერესი კარტინგისტები შეეჯიბრნენ ერთმანეთს. სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება ყინულზე მიკროავტომობილებით რბოლაში ზედიზედ მეოთხედ მოიხვეჭა ლენინგრადელმა ინჟინერ-კონსტრუქტორმა, სპორტის ოსტატმა ა. ზაგრადინმა. ვერცხლის მედალი ხვდა სპორტის ოსტატ ა. სინეგუბოვს (ნოვოსიბირსკი), ხოლო ბრინჯაოსი — ე. ანიკეევს (მოსკოვი).

• • •

სურათზე: ა. ზაგრადინი.

ო. სიზოვის ფოტო (საკდესი).

## ეს იყო და ეს...

მოსკოვი, 18 თებერვალი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). გუშინწინდელ მატჩში თბილისის „ბურევესტნიკს" ყველაზე მეტად ჰქონდა საბჭოთა ხელბურთის აღიარებული ლიდერის — მოსკოვის „კუნცევოს" დამარცხების შესაძლებლობა. საქმე ის არის, რომ მასპინძლები მათთვის უჩვეულოდ დაბალ ტემპში თამაშობდნენ, მაგრამ თბილისის გუნდის ზოგიერთი წევრი კიდევ უფრო ზანტად იქცეოდა და ამან განაპირობა კიდეც მასპინძელთა საბოლოო წარმატება. ამას ისიც დაემატა, რომ ჩვენმა მეკარეებმა ძალიან სუსტად ითამაშეს. თავი არ დაზოგეს „ბურევესტნიკის" ძველი გვარდიის წარმომადგენლებმა ცერცვაძემ (მას მთელი მატჩის მანძილზე პერსონალური მეურვე ჰყავდა), ექსეულიძემ და ფხაკაძემ, აგრეთვე, გუნდის ახალგაზრდა წევრმა დვალიშვილმა. მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა: თბილისელებმა წააგეს — 22:26 (11:14). ჩვენი გუნდი სამჯერ დაწინაურდა: მატჩის დასაწყისში (1:0, 2:1) და პირველი ტაიმის 25-ე წუთზე (11:10). ეს იყო და ეს.

თბილისელთაგან ბურთები გაიტანეს: დვალიშვილმა (8), გიორგი ბერიაშვილმა (6), ფხაკაძემ, ვახტანგ ბერიაშვილმა, ექსეულიძემ (2-2), ცერცვაძემ, სხიერელმა.

ამ დღის სხვა შეხვედრებიდან აღსანიშნავი იყო სსრ კავშირის ფაქტიური ნაკრების — მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდისა და ცსკა-ს მატჩი. სტუდენტები მარცხის პირას იყვნენ. მათ ტაიმი წააგეს (4:7), მაგრამ მეორე ნახევარში შეძლეს ჯერ მდგომარეობის გაწონასწორება, შემდეგ კი გამარჯვების მოპოვებაც — 15:11. შევნიშნავთ, რომ 25-ე წუთზე არმიელები წინ იყვნენ ანგარიშით 6:1.

ტურის დანარჩენი ორი შეხვედრა ასე დამთავრდა: მეტალურგიის ინსტიტუტი (ზაპოროჟიე) — „ბურევესტნიკი" (ტაშკენტი) 21:12 (10:5), უნივერსიტეტი (კრასნოდარი)—„ალუმინსტროი" (ზაპოროჟიე) 16:14 (6:6).

გუშინ თბილისელთა მეტოქე იყო ზაპოროჟიეს მეტალურგიის ინსტიტუტის გუნდი. ამჯერად ჩვენმა ხელბურთელებმა უკეთ ითამაშეს და ძლიერ მეტოქეს ფარ-ხმალი დააყრევინეს — 21:16 (14:5). როგორც ხედავთ, პირველ ტაიმში მოპოვებული ქულათა სხვაობა გამარჯვებისთვის საკმარისი აღმოჩნდა. შედარებით თანაბარი თამაში გაგრძელდა ტაიმის მე-18 წუთამდე. ამ დროს ანგარიში იყო 7:5 თბილისელთა სასარგებლოდ, ხოლო ამის მერე, შესვენებამდე, ჩვენებმა კიდევ 7 ბურთი გაიტანეს, ზაპოროჟიელებმა კი ერთი გოლიც ვერ გაქვითეს. აღსანიშნავია ისიც, რომ 39-ე წუთზე შეხვედრას 11 გოლით ვიგებდით (18:7).

მატჩის ბოლოს სერიოზულად იტკინა ფეხი ცერცვაძემ. ეტყობა, დანარჩენ მატჩებში იგი მონაწილეობას ველარ მიიღებს, ეს მით უფრო დასანანია, რომ ცერცვაძე შესანიშნავ ფორმაშია და გუნდისთვის დიდი სარგებლობა მოჰქონდა. სწორედ ამიტომაც ჰქონდათ განზრახული ნაკრების მწვრთნელებს ოლიმპიურ გუნდში მისი მიწვევა. თუმცა შეიძლება ყველაფერი კარგად დამთავრდეს. აღსანიშნავია ისიც, რომ მანამდე ჩვენს გუნდს ტრავმის გამო გამოაკლდა კიდევ ერთი მოთამაშე — ფხალაძე.

ამ მატჩში ცერცვაძემ გაიტანა 6 გოლი, დვალიშვილმა — 6, ნარიმანიძემ — 3, ფხაკაძემ, ექსეულიძემ და გიორგი ბერიაშვილმა — 2-2.

დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: ცსკა — „ალუმინსტროი" 13:14 (6:9), „ბურევესტნიკი" (ტაშკენტი) — საავიაციო ინსტიტუტი (მოსკოვი) 18:30 (5:12), უნივერსიტეტი (კრასნოდარი) — „კუნცევო" (მოსკოვი) 18:13 (11:7).

ჯ. ენუქიძე.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 19 თებერვლისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| საავიაციო ინსტ. (მოსკოვი) | 12 | 9 | 0 | 3 | 246—187 | 18 |
| „კუნცევო" (მოსკოვი) | 12 | 8 | 2 | 2 | 221—206 | 18 |
| „უნივერსიტეტი" (კრასნოდარი) | 12 | 7 | 1 | 4 | 189—182 | 15 |
| მეტალურგიის ინსტ. (ზაპოროჟიე) | 12 | 5 | 3 | 4 | 196—175 | 13 |
| „ბურევესტნიკი" (თბილისი) | 12 | 6 | 1 | 5 | 208—215 | 13 |
| „ალუმინსტროი" (ზაპოროჟიე) | 12 | 4 | 2 | 6 | 177—196 | 10 |
| ცსკა | 12 | 3 | 1 | 8 | 191—199 | 7 |
| „ბურევესტნიკი" (ტაშკენტი) | 12 | 1 | 0 | 11 | 192—260 | 2 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შედეგები უკეთესი უნდა ყოფილიყო

## მძლეოსნობის რესპუბლიკური ფედერაციის პლენუმზე

თბილისში გაიმართა საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის პლენუმი, რომელმაც მოისმინა ფედერაციის თავმჯდომარის, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის რექტორის ვ. სამსონაძის საანგარიშო მოხსენება 1969-71 წლებში გაწეული მუშაობის შესახებ. თანამოხსენებებით გამოვიდნენ რესპუბლიკის მძლეოსნობის მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე, საკავშირო კატეგორიის მსაჯი კ. მალიშკოვი და მწვრთნელთა საბჭოს თავმჯდომარე, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ბ. დიაჩკოვი.

პლენუმზე ითქვა, რომ საანგარიშო პერიოდში ფედერაციის მთელი საქმიანობა მიმართული იყო სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადისთვის რესპუბლიკის მძლეოსანთა მზადებისკენ. კოლექტივებში, რაიონებში, ქალაქებში, სპორტსაზოგადოებებში ჩატარებული ყველა ღონისძიება ამ ამოცანის გადაწყვეტას ემსახურებოდა.

ვ. სამსონაძემ მოხსენების დასაწყისში მოკლედ ილაპარაკა რესპუბლიკის მძლეოსანთა წარსულ წარმატებებზე. მან აღნიშნა, რომ საქართველოს მუდამ ჰყავდა გამოჩენილი მძლეოსნები, რომლებიც რესპუბლიკის ღირსებას საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე იცავდნენ.

მაგრამ დღის წესრიგის მთავარ საკითხად ფაქტიურად სპარტაკიადაში მოპოვებული შედეგების ანალიზი, წარუმატებლობის მიზეზთა მხილება და მათი დაძლევის გზების დასახვა გადაიქცა.

პლენუმზე ითქვა, რომ საქართველოს ფიზკულტურის კომიტეტთან ერთად მძლეოსნობის ფედერაციამ გულმოდგინედ იმუშავა სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადისთვის რესპუბლიკის მოზარდ და უფროსი ასაკის მძლეოსანთა ნაკრები გუნდების საუკეთესოდ მოსამზადებლად: საგრძნობლად გაიზარდა ამ სახეობის განვითარებისთვის საჭირო თანხები, გაფართოვდა სპორტულ ღონისძიებათა კალენდარი, შეიქმნა უმაღლესი სპორტული დახელოვნების სკოლის მძლეოსნური განყოფილება, იმატა ბაზების რიცხვმა. ყოველივე ამის წყალობით საქართველოს წარმომადგენლებმა მიზანს თითქოს მიაღწიეს კიდეც — ხალხთა V სპარტაკიადაში გაცილებით მეტი მაღალი თანრიგის შედეგი აჩვენეს, ვიდრე ყველა წინა ასეთივე ასპარეზობაში, მაგრამ მათთვის ტრადიციულ IX ადგილს მაინც ვერ აცდნენ.

თუ რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში მძლეოსნობის განვითარების დონეს თვალს გადავავლებთ, ერთგვარი წინსვლა ყველგან იგრძნობა, მაგრამ ზრდის ტემპი იმდენად ნელი გამოდგა, რომ სხვა რესპუბლიკებში ამ სახეობის განვითარების დონეს მაინც საგრძნობლად ჩამოვრჩით.

მომხსენებელმა სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაში ჩვენი შედეგების ზრდის საილუსტრაციოდ შემდეგი ციფრობრივი მაჩვენებლები მოიყვანა: სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადაში აფხაზეთის წარმომადგენლებმა სამ პირველი თანრიგის შედეგს მიაღწიეს, V სპარტაკიადაში კი ექვსს, აჭარის მძლეოსნებმა შესაბამისად ორსა და ექვსს, ქუთაისის სპორტსმენებმა — ხუთსა და თერთმეტს, რუსთავის წარმომადგენლებმა — ორსა და ხუთს, ფოთელებმა — ნულსა და ხუთს... ბოლო წლებში იმატა რეკორდებმაც, მაგრამ რაც გაკეთდა, საკმარისი არ აღმოჩნდა.

თუ სპორტულ სიარულში, 800, 1500, 5000, 10000 მეტრზე რბენაში, 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში, 110 და 400 მეტრზე თარჯრბენში, სიგრძეზე ხტომასა და სამხტომში, ბირთვის კვრაში, უროს ტყორცნაში ერთგვარი წინსვლა იგრძნობოდა, 100, 200 და 400 მეტრზე ვაჟთა რბენაში, სიმაღლეზე ხტომაში, შუბის ტყორცნაში, 4×100 მეტრზე ესტაფეტაში შედეგებმა საგრძნობლად იკლო.

პლენუმზე ითქვა, რომ სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადებში მძლეოსანთა შეჯიბრების პროგრამით გათვალისწინებული 33 სახეობიდან საქართველოს სპორტსმენებმა ხალხთა V სპარტაკიადაში შედეგები 18 სახეობაში გააუარესეს, ხოლო 13-ში გააუმჯობესეს. არ დაგავიწყდეთ, რომ საქართველოს ასეთი კვალიფიციური სპორტსმენებით დაკომპლექტებული გუნდი არასოდეს გამოუყვანია: გუნდის 39 წევრიდან 7 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი იყო, 15 — სპორტის ოსტატი, 9 — სპორტის ოსტატობის კანდიდატი.

როცა ვორონეჟში გამართულ მოზარდთა ტურნირში საქართველოს დელეგაციის მაჩვენებლებს შეეხო, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქმე აქ შედარებით უკეთესად გახლდათ. თუ ნაკრები საბოლოო ჯამში IX ადგილზე წინ ვერ წავიდა, ამაში ბრალი მიუძღვის მოზრდილთა გუნდის წევრებისა და მწვრთნელების შედარებით დაბალ დისციპლინას, რასაც რამდენიმე მწვრთნელისა და სპორტსმენის დასჯა მოჰყვა.

მომხსენებელმა შეაქო ის სპორტსმენები, რომლებმაც სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაში თავი გამოიჩინეს, დაასახელა სპარტაკიადის ჩემპიონები ვ. სანეევი (მწვრთნელი ა. კერსელიანი) და ა. მოშიაშვილი (მწვრთნელი ე. გოკიელი), აგრეთვე, ლ. ტუღუში (მწვრთნელი მ. ტუღუში), რომელმაც ბადროს მტყორცნელთა შორის V ადგილი დაიკავა და დიდი ხნის რესპუბლიკური რეკორდი გააუმჯობესა, ი. დელა-როსა (მწვრთნელი ა. შჩერბინა), რომელმაც სპორტულ სიარულში საპრიზო ადგილი დაისაკუთრა. ვ. სამსონაძეს არც ისინი დავიწყებია, ვინც მოზარდთა ტურნირში ისახელა თავი: ბ. პრესნოვი (მწვრთნელი დ. ბეთლემიძე), ს. ხრიპკო (მწვრთნელი ე. გაგუა), ვ. ხმელიძე (მწვრთნელი გ. ერქომაიშვილი) და სხვ. მან ის სპორტსმენებიც დაასახელა, რომლებისგანაც მეტს ელოდნენ. მაგალითად, სპარტაკიადაში იმედი ვერ გაამართლეს ბადროს მტყორცნელმა გ. გუდაშვილმა, ბირთვის მკვრელმა მ. ოყროშიძემ და ათჭიდელმა ი. დიაჩკოვმა (ყველას მწვრთნელია ბ. დიაჩკოვი), ლ. იევლევამ (მწვრთნელი ე. გოკიელი), ჯ. გორძამაშვილმა (მწვრთნელი ნ. ლობჟანიძე).

მომხსენებელმა ისიც აღნიშნა, რომ ფედერაციამ 1968 წელს კარგი საქმე წამოიწყო, როცა სეზონში რესპუბლიკის 10 საუკეთესო მწვრთნელის დასადგენად სპეციალური დებულება შეიმუშავა, სეზონის ბოლოს კი კონკურსის შედეგები შეაჯამა. სამწუხაროდ, კარგი წამოწყება შემდგომში დავიწყებას მიეცა. ფედერაციის მუშაობის ნაკლია ისიც, რომ აქამდე ვერ მოხერხდა ბოლო სეზონის შედეგების მიხედვით რესპუბლიკის 10 საუკეთესო მძლეოსნის სიის შედგენა. უწინ ამ საქმეს კარგად უძღვებოდა ლ. გიორგაძე, მაგრამ ის სხვა სამუშაოზე გადავიდა.

სამსონაძემ ილაპარაკა სპორტული ბაზების სიმცირეზე, მწვრთნელთა უმეტესობის უხეირო მუშაობაზე, თქვა, რომ რესპუბლიკური ფედერაცია სათანადოდ ვერ ეხმარება რაიონულ, საქალაქო, საოლქო სექციებსა და ფედერაციებს. მან გააკრიტიკა სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების ხელმძღვანელები, რომლებიც არ ზრუნავენ მძლეოსნობის განვითარებისთვის და აღნიშნა, რომ ყოველივე ამან მძლეოსნობაში მომეცადინეთა რიცხვის შემცირება გამოიწვია. მომხსენებელმა დაასახელა მაგალითებიც: სამხრეთ ოსეთში მძლეოსნობის სექციები 18-ით შემცირდა, ამ სექციებში მომეცადინეთა რიცხვი — 2700-ით, აფხაზეთში მძლეოსნობას 3800 კაცი ჩამოშორდა, ქუთაისში — 1100, რუსთავში — 1000, თბილისში — 4000, გორში — 1200... ცხადია, ყოველივე ამან თანრიგოსანთა მომზადებაზეც იმოქმედა.

როცა სპორტსაზოგადოებათა საქმიანობას შეეხო, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მათი უმეტესობა მაღალთანრიგოსანთა მომზადების გეგმებს სისტემატურად ვერ ასრულებს. მაგალითად, 1969 წელს გეგმით ჩვენს რესპუბლიკაში 4 სპორტის ოსტატი უნდა მომზადებულიყო, მაგრამ მომზადდა 2. ანალოგიური მდგომარეობა იყო 1970 წელსაც. შარშან კი, როგორც იქნა, გეგმა 100 პროცენტით შესრულდა — მომზადდა 5 სპორტის ოსტატი.

კ. მალიშკოვმა ილაპარაკა რესპუბლიკის მსაჯთა კოლეგიის საქმიანობაზე. მან გააკრიტიკა მსაჯები, რომლებიც თავს არიდებენ საქალაქო და რესპუბლიკურ ტურნირებს, არ ცდილობენ, რომ თავიანთი ცოდნა და გამოცდილება ახალგაზრდებს გადასცენ.

ბ. დიაჩკოვმა ილაპარაკა იმ მუშაობაზე, რასაც მწვრთნელთა საბჭო სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდში ეწეოდა, როცა რესპუბლიკაში მძლეოსნობის განვითარების უხეირო დონეს, ბაზების უკმარობას შეეხო, მან აღნიშნა სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების უმოქმედობა ამ საქმის გამოკეთებისთვის და გააკრიტიკა ბაზების დირექციები, რომლებიც არ ზრუნავენ სპორტსმენთა წვრთნის ნორმალური პირობების შექმნისთვის. მაღალკვალიფიციურ სპორტსმენთა მასობრივად აღზრდას სპორტღონისძიებათა კალენდრის არასტაბილურობაც აფერხებს. საჭიროა უფრო ხშირად ტარდებოდეს შეჯიბრებები უმაღლეს დონეზე. დიაჩკოვმა აღნიშნა მწვრთნელთა უმეტესობის სუსტი მუშაობა, თქვა, რომ ზოგიერთ სახეობაში ახლა თითო სპორტსმენიც კი აღარ გვყავს ისეთი, რომელიც საკავშირო შეჯიბრებაში საქართველოს ღირსებას დაიცავს.

კამათის მონაწილეებმა — სოფლის ახალგაზრდებთან მუშაობის კომისიის თავმჯდომარემ ზ. ტახტაროვმა, „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ჟღენტმა, ფიზკულტურის ინსტიტუტის მძლეოსნობის კათედრის მასწავლებელმა შ. კილაძემ, აჭარის ფედერაციის წარმომადგენელმა მ. ლიბერმანმა, მახარაძელმა მწვრთნელმა გ. ერქომაიშვილმა და მძლეოსნობაში უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლის დირექტორმა რ. ტრაპაიძემ ილაპარაკეს საქართველოს სოფლის ფიზკულტურულ ორგანიზაციებში მძლეოსნობის მდგომარეობაზე, ნაკრებისთვის კანდიდატების შერჩევაში დაშვებულ შეცდომებზე, მოზარდ მძლეოსნებთან მუშაობის დადებით და უარყოფით მხარეებზე.

ზ. ტახტაროვმა, მაგალითად, აღნიშნა, რომ ბევრ რაიონში არ არის მძლეოსნობაში ვარჯიშისთვის ვარგისი ბაზები. მან თქვა, რომ სოფლის სკოლების მძლეოსანთა ტურნირებმა კარგი შედეგები მოგვცა, მაგრამ ბოლო წლებში ამ ღონისძიებას ბევრგან ფორმალურად ეკიდებიან. შესაბამისად შედეგებმაც იკლო: შარშან აფხაზეთის სოფლის სკოლების მძლეოსანთა ფინალურ ტურნირში 25 (!) ბავშვი მონაწილეობდა. სოფლის მძლეოსნებთან კარგად მუშაობენ მახარაძელი ერქომაიშვილი, ქარელელი ლურსმანაშვილი, ხაშურელი ზანიერი.

მართალი იყო ვ. ჟღენტი, რომელმაც პლენუმის მუშაობა გააკრიტიკა. მან თქვა, რომ უკეთ უნდა ყოფილიყო გაანალიზებული მძლეოსნობის დღევანდელი მდგომარეობა რესპუბლიკაში, კონკრეტულად უნდა თქმულიყო, რა აფერხებს საქართველოში ამ სახეობის წინსვლას. მან აღნიშნა მსაჯობაში დაშვებული მიუტევებელი შეცდომებიც.

გ. ერქომაიშვილმა ფედერაციას უსაყვედურა მწვრთნელებისადმი უგულისყურო დამოკიდებულება. თქვა, რომ ნაკრებში ამა თუ იმ მწვრთნელის აღზრდილს ხშირად ავარჯიშებს სხვა, რომელიც სპორტსმენს სათანადოდ არ იცნობს, არ იცის მისი მონაცემები, შესაძლებლობები.

რ. ტრაპაიძემ კანონზომიერად მიიჩნია სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაში იევლევას, კოზელსკის, გორძამაშვილის, ოყროშიძის მარცხი, ვინაიდან ეს სპორტსმენები ამ დიდი ღონისძიებისთვის მზადებას გულგრილად ეკიდებოდნენ. მათი შემცვლელი კი არავინ იყო. მან გააკრიტიკა ფედერაცია, რომელიც რესპუბლიკის რაიონებში გასვლითა და ადგილებზე სპორტსმენთა დახმარებით თავს არ იწუხებდა. ტრაპაიძემ მწვრთნელთა საბჭოს უსაყვედურა, რომ იგი თბილისის გარეთ მომუშავე მწვრთნელებს არ ამოწმებდა და არ ეხმარებოდა. სწორედ მწვრთნელთა დაუდევრობის შედეგია, რომ მოსწავლეთა სპარტაკიადის ჩემპიონები და პრიზიორები უფროსთა ჯგუფებში გადასვლის შემდეგ უკვალოდ იკარგებიან. მან მაგალითად დაასახელა ზვიადაური და დოლიძე, რომლებიც სარბიელიდან გაქრნენ.

ფედერაციის პლენუმზე შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ლ. სანაძე.

პლენუმმა ფედერაციის მიერ გაწეული მუშაობა დამაკმაყოფილებლად შეაფასა და აირჩია ახალი შემადგენლობა.

საქართველოს სსრ მძლეოსნობის ფედერაციის თავმჯდომარედ კვლავ არჩეულია ვ. სამსონაძე, პასუხისმგებელ მდივნად — ჰ. ათაბეგოვი, მწვრთნელთა საბჭოს თავმჯდომარედ — ე. გაგუა, მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ — კ. მალიშკოვი.

# ჩვენი ქალაქი — მოსკოვის კონკურსი

## ერთი წლის სავალი



მთელი წლის მანძილზე გასტანს სპარტაკიადა, რომელსაც უზბეკეთის დედაქალაქის სპორტსმენები სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს უძღვნიან. ასპარეზობამ სტარტი უკვე აიღო — ჩატარდა ტაშკენტის ღია ჩემპიონატი წყალბურთში.

— სულ სტადიონებზე, აუზებში, დარბაზებში 44 შეხვედრა ჩატარდა 24 სახეობაში, — უთხრა საკდესის კორესპონდენტს ე. ეფიმოვს ქალაქის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ ნ. ბაიჯანოვმა. — ეს იქნება ყველაზე დიდი შეჯიბრება ტაშკენტის ისტორიაში.

... უნდა დავუმატოთ, რომ „სპარტაკიადა მთელი წლის მანძილზე" პირველი ცდაა რესპუბლიკის სპორტულ მოძრაობაში.

— მთავარია მასობრიობა, — ხაზგასმით აღნიშნა ბაიჯანოვმა. — ათეულ ათასობით ტაშკენტელს შეუძლია განახორციელოს დევიზი: „ოლიმპიადა არა მარტო ოლიმპიელებისთვის". ამავე დროს, ყოველ გუნდს, ყოველ სპორტსმენს შეუძლია გამოავლინოს თავისი შესაძლებლობა, აიმაღლოს სპორტული ოსტატობის დონე. ამაში მათ ხელს შეუწყობს როგორც შეჯიბრების კალენდარი, ისე ასპარეზობის ორგანიზაციის ხასიათი და ჩათვლის სისტემა.

სპარტაკიადა ოთხ ჯგუფად ტარდება. თითოეულ ჯგუფში დაახლოებით თანაბარი ძალის კოლექტივები არიან. I ჯგუფში იასპარეზებენ სპორტული ორგანიზაციების და უწყებების ნაკრები გუნდები. ისინი შეხვედრებს გამართავენ ფართო პროგრამით, რომელიც როგორც ძირითადი ისე სათადარიგო შემადგენლობების ერთგვარი გამოცდა იქნება.

მეორე ჯგუფის შეჯიბრებები ძირითადად სტუდენტური სპორტის დათვალიერებად უნდა იქცეს. აქ სარბიელზე გამოვლენ უმაღლესი სასწავლებლების გუნდები. ცალკეულ ჯგუფებში გაერთიანებული არიან საწარმოებისა და საშუალო სპეციალური სასწავლებლების სპორტული კოლექტივები.

უძლიერესს გამოავლენს გუნდურ და პირად ჩათვლაში დაგროვილი ქულების რაოდენობა. მაგრამ ამას მთელი წელიწადი არ დასჭირდება. შედეგები ყოველ კვარტალში დაჯამდება. ყოველ ეტაპზე გამოვლინდებიან გამარჯვებულები. მათ მაშინვე გადასცემენ პრიზებს.

„საშუალედო ფინიშები" ბრძოლას სიმძაფრის შენელების საშუალებას არ მისცემს. სპორტის ცალკეულ სახეობებში სპარტაკიადის მონაწილეებს სტარტზე რამდენიმეჯერ მოუწევთ გამოსვლა. მაგალითად, მძლეოსნობაში სპორტსმენებმა სამჯერ უნდა სცადონ ძალა — ზამთარში, ზაფხულში და შემოდგომით.

ამ მთავარი სპარტაკიადის პარალელურად ჩატარდება სხვა ტრადიციული შეჯიბრებები — მოსწავლეთა ტურნირები, შეჯიბრებები საბინაო-საექსპლოატაციო კონტორებში.

ტრადიციად იქცევა სრულწლიური სპარტაკიადაც.

ე. ტაუბენშლაგი.

ტაშკენტი.

## ათასების სტარტი

სპორტის სამხედრო-ტექნიკურ სახეობებში გამართული შეჯიბრების სტარტზე ხარკოვის ოლქის ქალაქებისა და სოფლების 100 ათასზე მეტი მცხოვრები გამოვიდა — ტარდება თავდაცვით-მასობრივი მუშაობის ერთთვიური, რომელიც საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 54-ე წლისთავს ეძღვნება. ახობით სპორტსმენი ეჯიბრება ერთმანეთს მსროლელთა კლუბის ცეცხლის ხაზზე. სხვები მონაწილეობენ ტრადიციულ მოტოკროსში „ხარკოვი", აბარებენ „მზად ვარ სამშობლოს დასაცავად" კომპლექსის ნორმებს.

ამჟამად რაიონულ ცენტრებში ტარდება თემატური საღამოები, სადაც ახალგაზრდა მიწის მუშები დიდი სამამულო ომის ვეტერანებსა და შრომის გმირებს ხვდებიან.

ხარკოვი.

# სტარტზეა მოსწავლეთა სპარტაკიადა

ბათუმის ბაზებზე გაიმართა ქალაქის მოსწავლეთა XXIV სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები კალათბურთში, ფრენბურთსა და ხელბურთში. უძლიერესთა სახელისთვის გოგონათა და ვაჟთა 25 სასკოლო კოლექტივი იბრძოდა.

ხელბურთელ ვაჟთა ასპარეზობის ფინალში 21-ე სკოლის გუნდმა ანგარიშით 26:16 სძლია მე-16 სკოლის აღსაზრდელებს და ჩემპიონის სახელი მოიპოვა. III ადგილისთვის ბრძოლაში მე-14 სკოლის წარმომადგენლებმა დაამარცხეს 22-ე სკოლის სპორტსმენები — 17:15.

გოგონათა ფინალურ ტურნირში მე-4 საშუალო სკოლის გუნდმა აჯობა მე-16 სკოლის მოსწავლეებს და სამართლიანად დაისაკუთრა I ადგილი. მომდევნო ადგილებზე არიან მე-16 და მე-14 სკოლების კოლექტივები.

როგორც მუდამ, განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია კალათბურთელთა ფინალურმა მატჩებმა. მე-7 სკოლის ვაჟებმა ანგარიშით 59:52 დაამარცხეს 24-ე სკოლის წარმომადგენლები. 1-ლი ქართული საშუალო სკოლის გოგონებმა მძაფრ ბრძოლაში ანგარიშით 46:41 სძლიეს მე-11 სკოლის გუნდს. III ადგილზე გავიდნენ მე-7 სკოლის სპორტსმენები.

ასევე საინტერესოდ წარიმართა ფრენბურთელთა შეჯიბრება. ფინალში ერთმანეთის პირისპირ წარსდგნენ მე-5 და მე-18 სკოლების ვაჟები. გაიმარჯვა მე-18 სკოლის გუნდმა — 2:0. გოგონათა შეჯიბრებაში მე-12 სკოლის გუნდმა ასეთივე ანგარიშით დაამარცხა მე-7 სკოლის ნაკრები.

ამრიგად, სამი სახეობის შემდეგ 30 ქულით ლიდერობს მე-7 სკოლის (ფიზაღზრდის მასწავლებელი პ. ბაგოევი) გუნდი. 16-16 ქულა აქვთ 1-ლი და მე-16 სკოლების სპორტსმენებს.

ო. მურვანიძე.
(ჩვენი კორ.).

ბათუმი.

## ყვარელი

აქ გაიმართა რაიონის ფრენბურთელთა ტურნირი საქართველოს ალკკ XXIX ყრილობის სახელობის თასზე, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და საწარმო-დაწესებულებების უძლიერესმა გუნდებმა. I ადგილი დაიკავეს შილდის კოლმეურნეობის ფრენბურთელებმა, რომლებსაც გარდამავალი თასი და პირველი ხარისხის დიპლომები გადაეცათ. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ენისლის № 2 პროფტექნიკური სასწავლებლისა და ახალსოფლის მარჯანიშვილის სახელობის კოლმეურნეობის გუნდები.

ა. შონია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის ჩემპიონატი

# მარცხი, რომელიც ოვაციას იწვევს

თბილისი. სპორტის სასახლე. 16 თებერვალი.

„დინამო" (თბილისი)—„სპარტაკი" (ლენინგრადი) 72:73 (45:43).

„დინამო": ქორქია (გუნდს შესძინა 34 ქულა), უგრეხელიძე (16), საკანდელიძე (12), სხიერელი (10), ჩიხლაძე, მაღალაშვილი, ფიცხელაური, ვასიუტინსკი, ბოლქვაძე, მაღალთაძე.

„სპარტაკი": ივანოვი (20), იუმაშევი (10), როჟინი (8), ბოლშაკოვი (8), შტუკინი (8), ფიოდოროვი (7), ბიკოვი (6), ვოლჩკოვი (2), არზამასკოვი (2), ბელოვი (2), კრივოშჩოკოვი.

მსაჯები ა. კიაბი (ტალინი), კ. გუბანოვი (ტაგანროგი).

დუბლიორები—86:69 (55:36) „დინამოს" სასარგებლოდ.

სპორტი იმითაც არის საინტერესო, რომ ზოგჯერ დამარცხებულსაც ისეთივე დიდი ტაში და ხოტბა ხვდება, როგორც გამარჯვებულს. განა ცოტას შევსწრებივართ ასეთ სურათს: გამარჯვებულს უსტვენენ, დამარცხებულს კი ოვაციით აცილებენ. ცუდად რომ არ გაგვიგონ, შევეცდებით ავხსნათ, რისი თქმა გვსურს. ხშირად ხდება: გუნდი აშკარად ვერაა ფორმაში, მაგრამ ერთ-ორ მატჩში პირდაპირ თავს იკლავს. თუ კოლექტივს სახელოვანი ტრადიციები აქვს, მას ეს უფრო „იოლად" გამოსდის, აღტაცებული გულშემატკივარი კი წარსული დამსახურებისთვის შეღავათს უშვებს და ტაშით აჯილდოებს გუნდს. გვინდა ამთავითვე დავარწმუნოთ მკითხველი, რომ საანგარიშო მატჩი არამც და არამც არ განეკუთვნებოდა ამ კატეგორიის ბრძოლებს. პირველი წუთიდან დაწყებული საფინალო სასტვენამდე თბილისის „დინამო" იბრძოდა როგორც თანასწორი თანასწორთან.

დიდი საკალათბურთო ასპარეზობათა მომსწრე თბილისელ მაყურებლებს კი გაახსენდათ ორიოდე წლის წინანდელი „დინამო", რომელიც საბჭოთა კალათბურთის ერთ-ერთი მედროშე იყო. გარწმუნებთ, მკითხველო, სრულიადაც არა გვსურს გუნდრუკი ვუკმიოთ რომელიმე ერთ კალათბურთელს. ვიმეორებთ, „დინამოს" გუნდის თითოეული წევრი არაფრით ჩამორჩებოდა მრისხანე მეტოქეს, რომელიც თბილისში ლიდერის შარავანდედით მოსილი ჩამოვიდა. „დინამომ" ამ დღეს გვიჩვენა ყოველივე ის, რისთვისაც ქართულ კალათბურთს პატივს სცემენ არა მარტო საკავშირო, არამედ საერთაშორისო სარბიელზეც: ცეცხლოვანი ტემპერამენტი, ელვისებური შეტევა, თავდაუზოგავი ბრძოლა საკუთარ და მეტოქის ფართან, ზუსტი ტყორცნა საშუალო მანძილებიდან, ზონური დაცვის პრინციპების პერსონალურ დაცვასთან მონაცვლეობა.

ერთი თუ ორი გამონაკლისის გარდა, დინამოელებმა გვიჩვენეს კოლექტიური თამაშის მაღალი ხელოვნება, სოლისტის ინდივიდუალური თავისებურებების კოლექტივთან შეთანაბრების სრულყოფილი ნიმუში. გვიჭირს რომელიმე მოთამაშის გამოყოფა, მაგრამ თუ მაინც გამოვყოფთ, მხოლოდ იმიტომ, რომ, ვფიქრობთ, ქორქიამ ამ დღეს თავისი საუკეთესო მატჩი ითამაშა საკავშირო ჩემპიონატის თბილისურ შეხვედრებში მაინც, თუ საერთოდ არა. იგი საუკეთესო იყო მოედანზე არა მარტო თავის გუნდში, არამედ ორივე კოლექტივის მოთამაშეთა შორის.

ერთი სიტყვით, „დინამომ" წააგო მატჩი, რომლის გამო მას ვერავითარ საყვედურს ვერ ეტყვი. ჩემპიონატის ლიდერთან „დინამომ" ითამაშა ისე, როგორც კარგა ხანია არ უთამაშია. ლენინგრადელები ამ დღეს პირველი მარცხის წინაშე იდგნენ და, თუ მაინც შეძლეს გამარჯვების მოპოვება, ამაში იღბალსაც და (ღმერთო შეგცოდე!) ცოტა მსაჯებსაც უნდა უმადლოდნენ. „დინამო" დამარცხდა თანაბარ ბრძოლაში და მატჩის შემდეგ გამართული ტაში სავსებით დაიმსახურა.

ახლა ორიოდე სიტყვა მატჩის ირგვლივ. თავდაპირველად ორივე გუნდის მოთამაშეები ნერვიულობდნენ და უკვე პირველივე წუთზე სამჯერ დაჯარიმდნენ. ანგარიში ლენინგრადელმა ბოლშაკოვმა გახსნა. ხუთმა წუთმა თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა — 11:11. მომდევნო ხუთ წუთში ქორქიას ზუსტი ტყორცნების წყალობით დინამოელები 6 ქულით დაწინაურდნენ — 25:19. მომდევნო ხუთ წუთში ლენინგრადელებმა სხვაობა ორ ქულამდე შეამცირეს — 33:35. ტაიმის დასკვნით ხუთ წუთს ძალთა თანაფარდობა არ დაურღვევია — 43:45.

შესვენების შემდეგ 26-ე წუთისთვის ლენინგრადელებმა ანგარიში გაათანაბრეს — 51:51, ხოლო 31-ე წუთისთვის 2 ქულით გავიდნენ წინ — 61:59. მომდევნო ხუთ წუთში ანგარიში კვლავ საყაიმოა — 67:67.

დრამატულად წარიმართა ბოლო 5 წუთი. ქორქიამ ზუსტად ტყორცნა ორი საჯარიმო, ბელოვმა კი კვლავ გაათანაბრა ანგარიში. მერე ივანოვმა ზედიზედ ორჯერ აიღო დინამოელთა კალათი, რასაც უგრეხელიძემ ერთი ზუსტი ტყორცნით უპასუხა. და აი, დადგა ბოლო წუთი: ქორქიამ ორი საჯარიმოდან ერთი ჩააგდო. ბურთი კვლავ დინამოელებს აქვთ. მატჩის დამთავრებას 10 წამი უკლია. საკანდელიძე ემზადება სასროლად, ისროლა კიდეც, მაგრამ ლენინგრადელთა ორი მოთამაშე უხეშად უშლის ხელს, მსაჯის სასტვენი კი სდუმს...

მაყურებელთა აუწერელ ყიჟინში დროც ამოიწურა.

ცოტა რამ ციფრების ენით: „სპარტაკმა" 58 სროლიდან 30 მოახვედრა მიზანს, ხოლო 14 საჯარიმოდან — 13, „დინამომ" შესაბამისად 59-დან 26, ხოლო 22-დან 20.

ა. მხეიძე.

* * *



სურათზე: ლენინგრადელთა კალათს უტევს ზ. საკანდელიძე.

მ. ზარგარიანის ფოტო.

## ცსკ ნახევარფინალში

რიგა, 17 თებერვალი. რიგის ტრამვაი-ტროლეიბუსის ტრესტის კალათბურთელ ქალთა გუნდი ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ნახევარფინალში გავიდა. ნახევარფინალის საგზური რიგელებმა ბუდაპეშტის „ეგიატერტეშის" დამარცხებით მოიპოვეს მეოთხედფინალის აქ გამართულ საპასუხო მატჩში — 101:50 (53:24).



## ადგილი მზის ქვეშ

მოსკოვი, 17 თებერვალი. ფრენბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრე ცსკა-მ წაუგებლად ჩაატარა და მოსკოვის დინამოელებთან ერთად ლიდერის პოზიცია უკავია (მოსკოვში რვა საუკეთესო კოლექტივი ასპარეზობდა). კარგად ითამაშეს ბაქოს „ნევთჩის" წარმომადგენლებმაც. დასკვნითი ტურის წინ მათ იმდენივე მოგება ჰქონდათ, რამდენიც ცსკა-სა და „დინამოს", მაგრამ ბოლო დღეს ისინი არმიელებთან დამარცხდნენ (1:3) და III ადგილი დაიკავეს. ერთი თვის შემდეგ გუნდები კიდევ ერთხელ, უკვე მესამედ შეხვდებიან ერთმანეთს. ეს მოხდება ჩელიაბინსკში და ჩემპიონატიც დამთავრდება.

სსრ კავშირის ჩემპიონმა — მოსკოვის „დინამომ" მეორე წრეში დედაქალაქის „ლოკომოტივთან" და ცსკასთან წააგო, მაგრამ ლიდერობა შეინარჩუნა. დინამოელები დიდი ქების ღირსი არიან — მათ, როგორც არასდროს, ისე უჭირთ წლევანდელ ჩემპიონატში: გუნდს სამი წამყვანი მოთამაშე აკლია: სხვადასხვა მიზეზით სარბიელზე ვერ გამოდიან სალიხოვა, ბატუტიტი და ტიურინა.

ზუსტი თამაშისა და გააზრებული ტაქტიკის წყალობით მოსკოვის „დინამომ" გათამაშების ცხრილში თავისი პოზიცია შეინარჩუნა. იგი ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაშიც წარმატებით იბრძვის: თანაქალაქელ „ლოკომოტივთან" ერთად ფინალისტთა ოთხეულში შევიდა (ფინალისტები 9-11 მარტს ბელგიაში ჩაატარებენ ერთწრიან ტურნირს). გამარჯვებულს გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" დაწესებული მთავარი პრიზი — „დიდი კრისტალი" გადაეცემა.

აი, როგორ გამოიყურება საკავშირო ჩემპიონატის გათამაშების ცხრილი 14 ტურის შემდეგ: „დინამო" (მოსკოვი), ცსკა — 11-11 ქულა, „ნევთჩი" — 10, „ლოკომოტივი" — 8, „ბურევესტნიკი" (ოდესა), „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი) — 5-5, „ავტომობილისტი" (ტაშკენტი) — 4, „დინამო" (კრასნოდარი) — 2.

## ■ ამჯერად უფრო დამაჯერებლად
## ■ დებიუტანტის პირველი გამარჯვება

16 თებერვალს გაიმართა კიდევ ორი მატჩი.

მოსკოვი. ადგილობრივმა დინამოელებმა კიევის არმიელებს უმასპინძლეს და კვლავ გაიმარჯვეს, ამჯერად უფრო დამაჯერებლად — 87:59 (43:30).

ტალინი. ტარტუს „კალევმა" წარუმატებლად დაიწყო მეორე წრე. მან ახლაც წააგო — ამჯერად ვილნიუსის „სტატიბასთან" — 77:78 (40:39). საინტერესოა, რომ ჩემპიონატის დებიუტანტმა პირველი გამარჯვება იზეიმა.

### გათამაშების ცხრილი
მდგომარეობა 18 თებერვლისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 12 | 12 | 0 | 850—752 | 12 |
| „სპარტაკი" (ლენინგრადი) | 12 | 11 | 1 | 1024—816 | 11 |
| „ჟალგირისი" (კაუნასი) | 13 | 7 | 6 | 1013—980 | 7 |
| „სტროიტელი" (კიევი) | 11 | 6 | 5 | 786—728 | 6 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 11 | 6 | 5 | 867—833 | 6 |
| „კალევი" (ტარტუ) | 11 | 5 | 6 | 788—793 | 5 |
| „დინამო" (თბილისი) | 12 | 4 | 8 | 879—951 | 4 |
| ასკ (კიევი) | 12 | 3 | 9 | 790—912 | 3 |
| „ბურევესტნიკი" (თბილისი) | 11 | 3 | 8 | 756—832 | 3 |
| „სტატიბა" (ვილნიუსი) | 11 | 1 | 10 | 754—925 | 1 |

# ფიდე-მ მიიწვია

მოჭადრაკეთა მსოფლიო პირველობის ახალ ციკლში (1972-1975 წ.წ.) ორი საზონათშორისო ტურნირი მოეწყობა. ამ შეჯიბრებებში ითამაშებს 32 მოჭადრაკე, რომელთაგან 8 დიდოსტატს ფიდე პერსონალურად იწვევს.

ამას წინათ ფიდე-მ მიწვევის კანდიდატებზე იმსჯელა. მან მხედველობაში მიიღო კანდიდატების ბოლოდროინდელი წარმატებები, მათი დამსახურება და სათამაშოდ მიიწვია შემდეგი დიდოსტატები: პ. კერესი, ლ. პოლუგაევსკი, ვ. სმისლოვი, მ. ტალი, ლ. შტეინი (ყველა — სსრ კავშირი), ს. გლიგორიჩი (იუგოსლავია), ვ. ჰორტი (ჩეხოსლოვაკია) და ლ. პორტიში (უნგრეთი).

საზონათშორისო ტურნირში საბჭოთა კავშირიდან ზემოდასახელებული ხუთი მოჭადრაკის გარდა კიდევ შვიდი დიდოსტატი ითამაშებს. ესენი არიან: ე. გელერი, მ. ტაიმანოვი, ვ. კორჩნოი — პრეტენდენტთა მატჩების მონაწილენი, ა. კარპოვი, როგორც ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონი, აგრეთვე, საბჭოთა ზონალურ ტურნირში პირველ სამ ადგილზე გასული მოჭადრაკეები.

# ოქროს მედალი — პოდგაეცს

რიგაში დამთავრდა სსრ კავშირის ახალგაზრდა ოსტატთა საჭადრაკო ჩემპიონატი, რომელშიც 16 კაცი მონაწილეობდა. I-II ადგილები გაიყვეს მ. პოდგაეცმა (ოდესა) და ი. ანიკაევმა (ნოვოკუზნეცკი) — 11-11 ქულა.

მხოლოდ ტურნირის დასკვნით, XV ტურში დაკარგა ანიკაევმა თითქმის ნაღდი ჩემპიონობა. საამისოდ საკმარისი იყო ამ დღეს პოდგაეცთან შეხვედრაში მას ყაიმისთვის მიეღწია. მაგრამ ოდესელმა ოსტატმა ენერგიული თამაშით სძლია ჩემპიონობის კანდიდატს. პოდგაეცს უნდოდა დაემარცხებინა მ. შტეინბერგიც (ხარკოვი), რომ გამარჯვება არავისთან გაეყო. ხარკოველი მოჭადრაკე ჯიუტი აღმოჩნდა: სამდღიანი ბრძოლა ყაიმით დასრულდა. მიუხედავად ამისა, პოდგაეცი მაინც ჩემპიონი გახდა: კოეფიციენტთა ცხრილით მას ანიკაევზე უკეთესი მაჩვენებელი აღმოაჩნდა.

III ადგილი ხვდა ლვოველ ა. ბელიავსკის — 9,5. IV-V ადგილები გაიყვეს ვ. კუპრეიჩიკმა (მინსკი) და ო. რომანიშინმა (ლვოვი) — 8,5-8,5.

VI-VII ადგილები გაიყვეს თ. გიორგაძემ (თბილისი) და ა. გიტოლინშმა (სიგულდა) — 8-8. ფინიშის ბოლო სამ ტურში გიორგაძემ 2,5 ქულა მოიპოვა. საერთოდ ტურნირში მან 6 შეხვედრა მოიგო, 5 წააგო და 4 ყაიმით დაამთავრა.

ამრიგად, ამ ზაფხულს ეკვადორში, სტუდენტ მოჭადრაკეთა მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად საბჭოთა გუნდის შემადგენლობაში გაემგზავრებიან დიდოსტატები ა. კარპოვი, ვ. ტუკმაკოვი, ი. ბალაშოვი, ოსტატები მ. პოდგაეცი, ი. ანიკაევი და ა. ბელიავსკი.

# მძლეოსანთა მსოფლიო მიღწევები

ამ დღეებში ამერიკისა და კანადის ქალაქების დარბაზებში გაიმართა მძლეოსანთა სტარტები, რომლებშიც რამდენიმე მსოფლიო მიღწევა გაუმჯობესდა. აი, ისინიც:

**ოკლენდი.** 500 იარდზე რბენა. კეტი ჰემონდი (აშშ) — 1.04,5 (ამ შეჯიბრებაში 60 იარდზე რბენა საკავშირო მიღწევით მოიგო კიეველმა ვ. ბორზოვმა — 6,1).

**ვანკუვერი.** 1000 მეტრზე რბენაში კანადელმა ქალმა ჰ. უერტნერმა 2.45,9 აჩვენა.

**ისტ-ლანსინგი.** 60 იარდზე რბენა. ამერიკელი პროფესიონალი ფეხბურთელი ჰ. ვაშინგტონი — 5,8 (ძველი მიღწევა გაუმჯობესდა 0,1 წამით).

**ჰიუსტონი.** 120 იარდზე თარჯრბენი. რ. მილბორნი (აშშ) — 13,4 (ამერიკელი ვ. დავენპორტის ძველი მიღწევა 13,5 წამს უდრიდა).

**ლუისვილი.** 1000 იარდი. 22 წლის ამერიკელი მ. უინცენრიდი — 2.05,1 (ეს შედეგი ავსტრალიელი რ. დაუბელის ძველ რეკორდზე 0,4 წამით უკეთესია).

**ლოს-ანჯელესი.** 1000 იარდი. კეტი გიბონსი (აშშ) — 2.32,2.

# ახალი ამბები-72

● **ტალინი, 16 თებერვალი.** ასუჭრიან შაშში მსოფლიო პირველობაზე ა. ანდრეიკო (რიგა) — ი. კუპერმანის (კიევი) მატჩის XVIII პარტიაც ყაიმით დამთავრდა: 22-ე სვლაზე მეტოქენი დაზავდნენ. ანგარიში გახდა 9:9.

● **რეიკიავიკი, 16 თებერვალი.** მოჭადრაკე ვაჟთა აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში 7 ტურის შემდეგ 5-5 ქულით დაწინაურდნენ ჰორტი (ჩეხოსლოვაკია) და გეორგიუ (რუმინეთი). VI ტურში ჰორტმა წააგო ოლაფსონთან (ისლანდია), შტეინმა (სსრ კავშირი) — ანდერსონთან (შვეცია), ტორგბერგსონმა (ისლანდია) — გეორგიუსთან. ტუკმაკოვი (სსრ კავშირი) და კინი (ინგლისი) ყაიმზე შეთანხმდნენ. VII ტურში ჰორტმა სძლია ანდერსონს, გეორგიუმ — გეორგსონს (ისლანდია). შტეინისა და ტუკმაკოვის შეხვედრა ზავით დამთავრდა.

● **დრამენი, 16 თებერვალი.** იუნიორთა შორის ბურთიან ჰოკეიში ნორვეგიის ამ ქალაქში დაწყებული მსოფლიო ჩემპიონატის პირველ მატჩში სსრ კავშირის ნაკრებმა ანგარიშით 11:0 დაამარცხა ფინეთის გუნდი. ამავე დღეს შვედებმა ნორვეგიელებს სძლიეს — 7:3.

● *ჟენევა, 16 თებერვალი.* შვეიცარიის მუშათა სპორტული კავშირის — სატუს-ის მიერ ჩატარებული ტრადიციული, 24-ე საერთაშორისო კროსის გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობეს საბჭოთა მძლეოსნებმა. პირად ჩათვლაში საუკეთესო იყო გდრ-ის წარმომადგენელი ი. ჰააზე, რომელმაც 8,6-კილომეტრიან დისტანციაზე 25.05,0 აჩვენა. ბოლო 200 მეტრზე მძლავრი საფინიშო ბიძგით მან შეძლო 2 წამით ჩამოეტოვებინა ნ. სვირიდოვი. III და IV ადგილებიც საბჭოთა მორბენლებმა პ. სისოევმა და პ. შიმონელისმა დაისაკუთრეს. იუნიორთა გარბენში პირველი სამი ადგილი სსრ კავშირის წარმომადგენლებს ხვდათ. ესენი არიან ა. იპატოვი, ვ. ისაკოვი და ვ. ზატონსკი.

● **ნიჟინო, 16 თებერვალი.** ლენინგრადის მახლობლად მდებარე ამ სოფელში გაიმართა რსფსრ-ს სპორტსმენთა პირველი შეჯიბრება ციგაობაში. ყველას აჯობა საპოროს XI თეთრი ოლიმპიადის მონაწილე ნ. იგნატიევამ. 703-მეტრიან ტრასაზე ოთხი სერიის ჯამში მისი შედეგია 2.20,8.

● **მოსკოვი, 16 თებერვალი.** ადგილობრივი „დინამოს" სტადიონის ყინულის ბილიკებზე გუშინ გამართულმა საერთაშორისო ამხანაგურმა შეჯიბრებამ მოტორბოლაში დიდი ინტერესი გამოიწვია. I ადგილის ბედი დამატებითმა სერიამ გადაწყვიტა. გაიმარჯვა შვედმა მრბოლელმა იუჰანსონმა. II ადგილზე გავიდა ზიგალი (გფრ), III — მოსკოველი საპოჟნიკოვი. გფრ-ის, ფინეთის, შვეციისა და მოსკოვის წარმომადგენელთა გუნდურ ბრძოლაში წარმატება მასპინძლებს ხვდათ.

● **ელკჰარტი (აშშ), 16 თებერვალი.** ამერიკის შეერთებული შტატების ხელბურთელ ვაჟთა ნაკრებმა ანგარიშით 15:11 დაამარცხა კანადის გუნდი და I ადგილი დაიკავა ოლიმპიური შესარჩევი ტურნირის ამერიკულ ზონაში. ამრიგად, აშშ-ს ნაკრებმა მიუნჰენის XX ოლიმპიადის საგზური მოიპოვა. III ადგილზე გავიდნენ არგენტინელები, რომლებმაც მექსიკელებს სძლიეს — 29:20.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# შრანცი სპორტს ტოვებს

ვენა, 16 თებერვალი. მსოფლიო თასის ორგზის მფლობელი და სამგზის მსოფლიო ჩემპიონი სამთო-სათხილამურო სპორტში კ. შრანცი საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა საპოროს XI „თეთრი თამაშების" სარბიელზე არ დაუშვა მოყვარული სპორტსმენის სტატუსის დარღვევის გამო. ახლა შრანცმა განაცხადა, რომ სამუდამოდ ტოვებს სპორტს.

როგორც შრანცმა ავსტრიის სამთოსათხილამურო სპორტის ფედერაციის პრეზიდენტისადმი გაგზავნილ წერილში მიუთითა, ამ გადაწყვეტილების ერთ-ერთი საფუძველი იყო ის გარემოება, რომ საერთაშორისო ფედერაციამ დაარღვია თავისი პირობა წლეულს სამთოსათხილამურო სპორტში მსოფლიო ჩემპიონატის გამართვის თაობაზე. შრანცი წერს, რომ წლეულს განზრახული არა აქვს პროფესიონალთა ბანაკში გადასახლება.

წერილის დასასრულს ნათქვამია, რომ შრანცმა ბევრი იფიქრა ამ ნაბიჯზე და გადაწყვიტა ღირსეულად დაამთავროს თავისი კარიერა, რათა შემდგომში აღარ იყოს უმწეო სამიზნე საერთაშორისო სპორტულ პოლიტიკაში თავდასხმებისთვის.

(საკდესი).

• • •

სურათზე: კ. შრანცი.

# რეკორდები

**სოფია, 18 თებერვალი.** ბულგარელმა ძალოსანმა მ. კუჩევმა (მსუბუქი წონა) ერთი წლის „შესვენების" შემდეგ დაიბრუნა აჰიმვაში მსოფლიო რეკორდი, რომელიც საბჭოთა ათლეტ ვ. დრექსლერს ეკუთვნოდა. კუჩევმა 153,5 კგ დაძლია, რაც ნახევარი კილოგრამით უკეთესია წინანდელზე.

# 8:7, 2:0, 1:1

ალჟირი, 17 თებერვალი. სსრ კავშირის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი — ერევნის „არარატის" ფეხბურთელთა გუნდი საერთაშორისო ტურნირის ფინალში გავიდა: ქალაქ ორანში ანგარიშით 8:7 დაამარცხა ალჟირის გუნდი „სონატრაქი". ძირითადმა დრომ გამარჯვებული ვერ გამოავლინა (3:3) და ამიტომ მაჯმა 5-5 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა დანიშნა. ერევნელებმა ხუთივე პენალტი გაიტანეს, ალჟირელებმა კი ოთხი. ფინალურ მატჩში, 24 თებერვალს „არარატი" არადის უტა-ს (რუმინეთი) შეხვდება, რომელმაც ალჟირის ახალგაზრდულ ნაკრებს სძლია — 2:0.

ჰალი, 17 თებერვალი. ინგლისის ამ ქალაქში გაიმართა ევროპის ჩემპიონატის უკანასკნელი, 96-ე შესარჩევი მატჩი — ერთმანეთს შეხვდნენ ჩრდილოეთ ირლანდიისა და ესპანეთის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდები. თამაში ფრედ დამთავრდა — 1:1. ბურთები გაიტანეს: 41-ე წუთზე — როხომ (ესპანეთი), 71-ე წუთზე — მორგანმა (ჩრდილოეთ ირლანდია).

აი, როგორ გამოიყურება IV ჯგუფის საბოლოო ცხრილი.

| | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 4 | 2 | 0 | 13—4 | 10 |
| ესპანეთი | 3 | 2 | 1 | 14—3 | 8 |
| ჩრდ. ირლანდია | 2 | 2 | 2 | 10—6 | 6 |
| კვიპროსი | 0 | 0 | 6 | 2—26 | 0 |





ამ სურათებზე აღბეჭდილია გოლფში ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონატის ორი მეტად საინტერესო მომენტი. კარგად გაწვრთნილი ფრანგული პუდელი გოლფის ბურთით პირში მოთამაშისკენ მირბის (ზედა ფოტო). ქვედა სურათზე თქვენ ხედავთ ჩემპიონატის ერთ-ერთ მონაწილეს რაიმონდ ფლოუდს, რომელიც პუდელს ბურთს ართმევს. ყოველივე ეს მაყურებელთა დიდ აღტაცებას იწვევს.

ასოშიეიტედ პრესის ფოტოები.

# ვინ არიან მწვრთნელები?

ვინ უდგას სათავეში ახლა ევროპის ეროვნულ ნაკრებ გუნდებს? ამის გაგება შეიძლება უწყებებში, რომლებსაც უეფა-ს სამდივნო ბეჭდავს.

**ალბანეთი** — ლ. ბორიჩი, **ინგლისი** — ა. რამსეი, **ავსტრია** — ლ. სტასტნი, **ბელგია** — რ. გუტალსი,

# ევროპის ფეხბურთის ამბები

**ბულგარეთი** — ა. სპასოვი, **დანია** — ა. სტრიტიხი (ავსტრია), **შვეიცარია** — ლ. მაურერი, **ფინეთი** — ო. ლაქსონენი, **საბერძნეთი** — ბ. ბინგჰამი (ჩრდილოეთ ირლანდია), **ირლანდია** — გ. ბოუვენსი, **ჩრდილოეთ ირლანდია** — ტ. ნეილი, **ისლანდია** — ა. გუდმუნდსონი, **იტალია** — ფ. ვალკარეჯი, **იუგოსლავია** — ვ. ბოშკოვი, **ლუქსემბურგი** — ა. მელხიორი (ავსტრია), **მალტა** — ფორმოსა, **ნორვეგია** — ჯ. კერტისი (ინგლისი), **ჰოლანდია** — ა. ფადრჰონკი, **პოლონეთი** — კ. გორსკი, **პორტუგალია** — გომეს და სილვა, **გდრ** — გ. ბუშნერი, **გფრ** — ჰ. შიონი, **რუმინეთი** — ა. ნიკულესკუ, **შოტლანდია** — ტ. დოჰერტი, **ესპანეთი** — ლ. კუბალა, **შვეცია** — გ. ერიქსონი, **უელსი** — დ. ბოუენი, **თურქეთი** — ნ. არმანი, **უნგრეთი** — რ. ილოვსკი, **საფრანგეთი** — ჟ. ბულონი.

● ●

# სტენლი როუზის აზრით

ფიფა-ს პრეზიდენტმა ს. როუზმა ჟურნალისტებთან საუბრის დროს ილაპარაკა ინგლისის ჩემპიონატის დებულებაზე. მისი აზრით, კარგი იქნება, თუ I ლიგაში 22 გუნდის ნაცვლად 18 ან 16 ითამაშებს, ვინაიდან ჩემპიონატი ფრიად გაჭიანურებულია და კლუბები გარკვეული სიძნელეების წინაშე არიან.

● ●



# ობიექტივში მსოფლიო

პელოტა სპორტის ერთ-ერთი უძველესი სახეობაა, რომლის სამშობლოდაც ესპანეთი ითვლება. იგი თითქოს ბადმინტონის ნაირსახეობას წარმოადგენს, მაგრამ აქ უფრო მეტადაა საჭირო თვალის სისწრაფე, სწრაფი რეაქცია, ამტანობა. პელოტაში სისტემატურად იმართება მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები. ამ სურათზე აღბეჭდილია შარშანდელი მსოფლიო პირველობის (სან-სებასტიანი) ფინალური მატჩის მომენტი — უძლიერესის წოდების მოსაპოვებლად ერთმანეთს ხვდებიან ურუგვაისა და არგენტინის ნაკრები გუნდები. არგენტინელი ბიზორერო ვოლეის უბრუნებს მეტოქეს (I ადგილი დაიკავა არგენტინის ძლიერმა გუნდმა).

„ციფრა ფოტო".

## გასწორება

ჩვენი გაზეთის წინა ნომრის პირველ გვერდზე გამოქვეყნებული მასალის — „საპოროს გმირები" — მეორე სვეტის პირველი აბზაცის მესამე სტრიქონი უნდა იკითხებოდეს ასე: **სპორტსმენი ქალი**, **ვინც საპოროში სამი ოლიმპიური**

რედაქტორი მ. პაპაბაძე.

# ქალთა XVI...

თბილისის სპორტულ ბაზებზე დაიწყო დედაქალაქის ქალთა XVI სპარტაკიადა, რომელიც ქალთა საერთაშორისო დღეს ეძღვნება. სპარტაკიადის პროგრამაში ხუთი სახეობაა.

გთავაზობთ შეჯიბრებათა კალენდარს:

**მშვილდოსნობა. 19 თებერვალი.** ვაკის საფარიკაო დარბაზი.

**მძლეოსნობა. 19-20 თებერვალი.** ლენინის სახ. სტადიონის მანეჟი.

**სპორტული ტანვარჯიში. 20-21 თებერვალი.** თბილისის სპორტსაზოგადოებათა სამმართველოს ტანვარჯიშული დარბაზი (სტალინის სახ. სანაპირო № 8).

**ფარიკაობა. 19 თებერვალი.** ვაკის საფარიკაო დარბაზი.

**ცურვა. 19-20 თებერვალი.** „შრომითი რეზერვების" აუზი (ოქტომბრის ქ. № 134).

ტურნირების დასაწყისი: დღეს და ზეგ — 18 ს., ხვალ — 11 ს.